

ფეხსაცმლის კომფორტულობის პრობლემისადმი საზოგადოების დამოკიდებულების კვლევის შედეგები.

გრძელიძე მ.გ., კიკნაველიძე ლ.გ.

სტატიაში გაანალიზებულია მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ პირადი მოხმარების საგნების სტანდარტული მახასიათებლების კვლევა, ოპტიმიზაცია და შედეგების წარმოებაში დანერგვა მნიშვნელოვანი საკითხია. მის სწორად გადაჭრაზე დამოკიდებულია მოსახლეობის მიერ კომფორტულ ნაწარმზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ქართული ფეხსაცმლის კონსტრუქციის ევოლუციის ანალიზი მოხერხებული ფეხსაცმლის პარამეტრების შემუშავების მიზნით.

გრძელიძე მ.გ., კიკნაველიძე ლ.გ.

ფეხსაცმლის წარმოებას საქართველოში დიდი ისტორიული მემკვიდრეობა გააჩნია. ეს ჩვენი ერის უძველესი ტრადიციული საქმიანობაა. დღეისათვის ძალიან პოპულარული და მიღებულია ფეხსაცმელი ეთნო-ელემენტებით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. არსებობს სურვილი და მისწრაფება, რომ საუკუნოვანი ტრადიციების გათვალისწინებით შეიქმნას ორიგინალური, თანამედროვე სტილთან შესამებული ფეხსაცმელი, რომელიც იქნება მოხერხებული და ინჟინრულად სრულყოფილი ნაკეთობა.

ინფორმაციული სისტემების სისუსტეების ანალიზისა და შეფასების სისტემის არქიტექტურის შესახებ.

გელოვანი ვ.პ., ბოსიკაშვილი ზ.გ.

პროგრამული უზრუნველყოფის სისუსტეების ანალიზისა და შეფასების პროექტში შემოთავაზებული ფორმალიზმის საფუძველზე დასახულია შემუშავდეს ინფორმაციული სისტემის სისუსტეების ანალიზის პროგრამული ბაზა (ფრეიმვორკი), რომელიც უნდა წარმოადგენდეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ნაწილს. ამიტომ სტატიაში წარმოდგენილია მთლიანი სისტემის არქიტექტურა, პროექტში შემოთავაზებული ბაზის ადგილის მითითებით.

ბიზნეს მოდელის თანამედროვე ხედვა და შემადგენლების სისტემური ანალიზი. ხუციშვილი ს.ა., ხართიშვილი მ.პ., ხუციშვილი გ.ს., ხუციშვილი ლ.ს.

ნაშრომში წარმოდგენილია ბიზნეს საქმიანობის ანალიზის, შეფასების, კვლევის და განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის, ბიზნეს მოდელის ზოგადი მახასიათებლები. აქცენტი კეთდება ა. ოსტერვალდერის და ი. პინეს მიერ დამუშავებული ბიზნეს მოდელის მაკეტზე, მის სტრუქტურასა და თავისებურებებზე. განხილულია მოდელის შემადგენელი „ბლოკების“ დამუშავების ძირითადი პრობლემები და დამხმარე „ელემენტების“ სტრუქტურისა და საკითხები. ასევე „ბლოკებს“ შორის შესაძლო ურთიერთკავშირების სისტემა და რეალიზების თანმიმდევრული პროცესი.

ტყვიის კრონის ჩამდინარე წყლების გაწმენდის ელექტროდიალიზური მეთოდის ტექნოლოგიური პროცესის დამუშავება.

ჩხუბიანიშვილი ნ.გ., მამულაშვილი მ.ა., მჭედლიშვილი გ.ს., ქრისტესაშვილი ლ.გ.

შესწავლილია ტყვიის კრონის ჩამდინარე წყლების დამუშავება კალციუმის ჰიდროქსიდის საშუალებით. დადგენილია კალციუმის ჰიდროქსიდის ოპტიმალური რაოდენობა. დამუშავების შემდეგ შესწავლილია გაფილტრული ჩამდინარე წყლების ელექტროდიალიზით გაწმენდის ოპტიმალური პირობები, პოლარიზაციის ზღვრული კონცენტრაციები. გაწმენდილი ჩამდინარე წყლები პასუხობს ტექნიკურ წყალზე წაყენებულ მოთხოვნებს.

ელექტროდიალიზატორის მაკონცენტრირებელი კამერის ხსნარის ზღვრული კონცენტრაციის დადგენა.

ჩხუბიანიშვილი ნ.გ., მამულაშვილი მ.ა., მჭედლიშვილი გ.ს., ქრისტესაშვილი ლ.ვ., კურცხალია ც.ს.

შესწავლილია ტყვიის კრონის ჩამდინარე წყლების კომპონენტების ერთობლივი შემცველობისას მარილხსნარის კონცენტრატის ზღვრული პოლარიზაციის დონე. დადგენილია, რომ ჩამდინარე წყლებში შემავალი ქრომატი ილექება ელექტროდიალიზატორის მემბრანაში. ნალექის არ წარმოქმნის მიზნით შევისწავლეთ ექსპლენტიანი ქრომის გადაყვანა სამკლენტიანში, ხსნარის წყალბადის ზეჟანგის დამუშავებით. დადგენილია ხსნარის პოლარიზაციის დონე.

მილსადენის მაგისტრალის მარგი ქმედების კოეფიციენტი.

ნამგალაძე დ.პ., ციქარაშვილი გ.ნ.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სიდიდეების და ფაქტორების დადგენა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და განსაზღვრავს მაგისტრალური მილსადენის მარგი ქმედების კოეფიციენტს. მიღებულია გამოსახულება, რომლითაც ნაჩვენებია ტურბომექანიზმის მიერ გაცემული სიმძლავრე მილსადენის მაგისტრალზე. განმარტებულია სასარგებლო მდგენელი, რომელიც უზრუნველყოფს სიჩქარით დაწნევას. ასევე განხილულია ენერგოეფექტურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მილსადენის ეკონომიკურად დასაბუთებული შიდა დიამეტრი. მოყვანილია მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს მ.ქ.კ-ს ცვლილებას მილსადენის შიდა დიამეტრის ცვლილების დროს. მაგალითებით ნაჩვენებია არმატურის სხვადასხვა გარეობის სიდიდეზე წინააღობის კოეფიციენტის ცვლილების დინამიკა და შესაბამისი მ.ქ.კ-ს მნიშვნელობები.

გამყინვარებისა და ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობის კავშირის შესახებ. მახარაძე ა.ი.

გამყინვარების წარმოშობას დედამიწაზე ვერ ხსნის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობის რაოდენობა, როგორც ამას ს. არენიუსი და ტ. ჩემბერლენი ფიქრობდნენ. გამყინვარების კერების ჩამოყალიბება უკავშირდება დედამიწის მოძრავი სარტყლების განვითარების გეოკრატიულ ეპოქებს და მასთან დროში თანხვედრ მოსაზღვრე მყარი სუბსტრატის ეპიროგენრტულ აზვევებებს.

ყინვამედვე ბეტონის დამზადების მეთოდების მიმოხილვა.

ბალიაშვილი გ.ი., სარჯველაძე ნ.ვ., შაფაქიძე ე.ვ.

თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პუბლიკაციების და საკუთარი გამოცდილების კრიტიკული მიმოხილვის და განზოგადების მეთოდის გამოყენებით სტატიაში განხილულია ყინვამედვე ბეტონის დამზადების მეთოდები და კრიტიკული ანალიზი.

ბეტონის ქიმიური დანამატების დახასიათება.

ბალიაშვილი გ.ი., სარჯველაძე ნ.ვ., რუხაძე თ.ა., ტყემალაძე ლ.ვ.

ნაშრომში განხილულია თანამედროვე, ქიმიური დანამატების დახასიათება, ბეტონის ქიმიური დანამატის სწორად შერჩევა, სათანადო დოზირება, სხვა კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენა და გამოყენება ბეტონის მექანიკის ერთ-ერთი აუცილებელი საკითხია, რომელიც თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

ზესტაფონის მიმდებარე ტერიტორიის ნიადაგის ზედაპირზე მტვრის განაწილების მონიტორინგა.

გიგაური ნ.გ., გვერდწითელი ლ.ვ., სურმაგა ა.ა., ინწკირველი ლ.ნ.

ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელ ნივთიერებათა გადატანა-დიფუზიის განტოლების რიცხვითი ინტეგრებით შესწავლილია ქ. ზესტაფონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ნიადაგზე დაფენილი მტვრის განაწილება გაბატონებული ფონური ქარების შემთხვევაში.

სამთო-მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოს ჩამდინარე წყლების კონტროლის ავტომატიზებული სისტემა.

იაშივილი ნ.გ., ტყემალაძე გ.შ., ბიბილეიშვილი დ.ვ., მახაშვილი ქ.ა., დოლიძე ა.ვ.

შემოთავაზებულია ახალი ავტომატიზებული კომპლექსი (სისტემა), რომელშიც მთავარი ყურადღება დაეთმო წყლის სინჯების აღების ტრანსპორტირების უწყვეტ ხაზს. ავტომატიზებული სისტემა (კომპლექსი) საშუალებას იძლევა გავაკონტროლოთ ჩამდინარე წყლების მდინარეებში, ტბებში და წყალსატევებში ჩადინება და ზღკ-ს გადამეტებისას გამომუშავდეს წყლის ჩადინების შეწყვეტის სიგნალი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია თვით საწარმოს მუშაობის დროებითი შეჩერება.